



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო



N 54 ქ. ბათუმი
28/06/2018

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

54-54-4-201806282038



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 54-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა თანდართული სახით;
2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მუნიციპალურ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელება.
3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურს უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია.
4. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაქვემდებარებულ ყველა სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მოთხოვნისთანავე, დადგენილი ფორმით (ელექტრონულად ან დოკუმენტალურად) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების, განახლების, მასში ცვლილებების შეტანის, მისი შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით, საჭირო შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობის უზრუნველყოფა განხორციელების პროცესში.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

